

საქართველოს კანონი

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ“

მუხლი 1. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, №9, 1993 წ., მუხ. 187) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-20 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“მუხლი 20. პოლიციაში მიღების წესი

“1. პოლიციაში მიიღებიან 18-დან 35 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქეები:

ა) რომლებსაც თავიანთი პიროვნული და საქმიანი თვისებების, განათლების, ფიზიკური მომზადებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისად შეუძლიათ შეასრულონ დაკისრებული მოვალეობები;

ბ) რომლებიც ფლობენ სახელმწიფო ენას;

2. პოლიციაში მიღებამდე ან მიღების შემდეგ წვევამდელმა უნდა გაიაროს სპეციალური მომზადების პროგრამა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ დამტკიცებული წესით.

3. პოლიციაში მიღების შემდეგ წვევამდელს მიენიჭება პოლიციის რიგითის უმცროსი სპეციალური წოდება.

4. პოლიციაში 4 წლის ვადით უწყვეტი სამსახური წვევამდელს ჩაეთვლება სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდად.

5. წვევამდელის მიერ გაწვევით სამხედრო სავალდებულო სამსახურის ან საკონტრაქტო სამსახურის მოხდის წესი და ვადა განისაზღვრება ამ კანონის 21<sup>1</sup> მუხლით.

6. სამინისტროს სამხედრო სამსახურში ჩაირიცხებიან მოქალაქეები, რომლებიც გაივლიან დამატებით სპეციალურ შემოწმებას.

7. პოლიციაში შესაძლებელია მიღებულ იქნეს 35 წელს გადაცილებული პირი მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ან საამისოდ უფლებამოსილი პირის თანხმობით.

8. განსაკუთრებულ შემთხვევაში შრომის ხელშეკრულების (კონტრაქტის) საფუძველზე პოლიციაში მიიღებიან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, მიუხედავად მათი ასაკისა.

9. პოლიციაში სამუშაოდ არ მიიღება:

ა) ნასამართლევი პირი;

ბ) ალკოჰოლიზმით, ნარკომანიით, გოქსიკომანიით, შიდსით, ფსიქიკური ან/და სხვა ქრონიკული სნეულებით დაავადებული პირი. ქრონიკულ სნეულებათა ჩამონათვალს ერთობლივად ადგენენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი;

გ) პირი, რომელიც სასამართლო წესით ცნობილია ქმედუნაროდ“.

2. 23-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 23. პოლიციის კადრების პროფესიული მომზადება

1. პოლიციის კადრების პროფესიული მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება ხორციელდება სამინისტროს შესაბამის სპეციალურ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

2. სამინისტრო ადგენს სპეციალური მომზადების პროგრამას, რომლის გავლის შემდეგ პოლიციელს მიენიჭება უმცროსი ლეიტენანტის წოდება. აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს იმ პოლიციელს, რომელსაც მინიჭებული აქვს რიგითის წოდება.“

3. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 41-ე მუხლი:

„მუხლი 41. გარდამავალი დებულებები

ამ კანონის ამოქმედებიდან 2 თვის ვადაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიმუშაოს და გამოსცეს ამ კანონის 20-ე მუხლის მე-2 პუნქტით და 23-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სპეციალური მომზადების პროგრამები.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი